განაშენიანების რეგულირების გეგმა ბაკურიანში

დაბა ბაკურიანი
ს.კ 64.30.08.087; ს.კ 64.30.01.575

განაშენიანების რეგულირების გეგმა

1. ტექსტური ნაწილი

2020 წელი
დეკემბერი

დამკვეთი

ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ,,ქართუ''

საიდენტიფიკაციო კოდი 204874421,

საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს

რაიონი, ილ.ჭავჭავაძის გამზ.№39ა

ფონდის გამგეობის თავმჯდომარე:
ნიკოლოზ ჩხეტიანი (პ/ნ: 01015004070)

შემსრულებელი

<u>შ.პ.ს. „ჰაუსარტ ლუქსი“</u>

საიდენტიფიკაციო კოდი 205255551,

საქართველო, ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. #19

ტელ: 2 22 00 88

დირექტორი: დიმიტრი ვაჩნაძე

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სარჩევი

1. ტექსტური ნაწილი

- სამართლებრივი აქტები, გეგმარებითი დავალება
- საკადასტრო მონაცემები
- განმარტებითი ბარათი
- დაგეგმვის მიზანი და ამოცანები
- სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები
- დაგეგმვის ეფექტიანობის (ხეირიანობის) შეფასება
- ეტაპები და რიგითობა
- დასკვნა მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე
- დენდროპროექტი
- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/54
2018 წლის 8 თებერვალი

ქ. თბილისი

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 64.30.01.575; 64.30.08.087) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე (მიწის ნაკვეთების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 64.30.01.575; 64.30.08.087) განაშენიანების რეგულირების გეგმის თანდართული გეგმარებითი დავალება.

მუხლი 2

წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი დამტკიცებიდან 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი — **დიმიტრი ქუმსიშვილი**

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ 64.30.01.575; 64.30.08.087) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

- საპროექტო ობიექტი - მრავალფუნქციური კომპლექსი
- ობიექტის მისამართი ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი
- დამკვეთის/მენაშენის განაცხადი: 14.08.2017. N10472/09

- გრგ-ის საპროექტოს ტერიტორიის არეალის საერთო ფართობი - 88 801.00 m^2

ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები

1.	ტერიტორიის დახასიათება და ქალაქთმშენებლობითი განვითარების შესაძლებლობები	• საპროექტო გეგმარებითი არეალი მდებარეობს ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში, საერთო ფართობით – 88 801.00 კვ.მ და მოიცავს ორ საკადასტრო ერთეულს, კოდებით: 64.30.01.575; 64.30.08.087 • ტერიტორიის ნაწილზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები; • ტერიტორია თავისი ადგილმდებარეობით და ფართობით საშუალებას იძლება დამუშავდეს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა. განაშენიანების რეგულირების გეგმით განისაზღვროს კონკრეტული ფუნქციური ზონები გეგმარებითი დავალებით დადგენილი პარამეტრების შესაბამისად; • განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდგომში გრგ) პროექტით შესაძლებელია განხორციელდეს გეგმარებითი არეალის რამდენიმე მიწის ნაკვეთებად გამიჯვნა საერთო ფართობის უცვლელად.

2.	შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან.	• ტერიტორიის რელიეფიდან, არსებული ნარგავების გათვალისწინებით, განისაზღვროს საპროექტო შენობა-ნაგებობების ადგილმდებარეობა და მათი მოცულობითი გადაწყვეტა. • კომპლექსი დაპროექტდეს ტერიტორიისთვის დადგენილ საპროექტო საზღვრებში. გათვალისწინებულ იქნეს რელიეფის და განაშენიანების ხასიათი და ბუნებრივ ლანდშაფტთან თანაფარდობა; • საპროექტო შენობის მოშენების კონტურები, მოცულობით-კომპოზიციური გადაწყვეტა განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით; • იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ახალი შენობა-ნაგებობისთვის მიწის ნაკვეთის გამიჯვნა, თითოეული მიწის ნაკვეთი უნდა იყოს საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფილი, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობადამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელი სამანქანო გზის არსებობა, მათ შორის, სერვიტუტის გამოყენებით; • გამოყენებულ იქნეს მაღალი ხარისხის სამშენებლო მასალა; • ღია და დახურული ავტოსადგომები მოეწყოს შემდეგი გაანგარიშებით: ბინების შემთხვევაში ერთი ავტოსადგომი კ-2 საანგარიშო ფართობის 100მ ^{2} -ზე, მაგრამ არანაკლებ 1 ბინაზე –1 ავტოსადგომისა; სასტუმროს შემთხვევაში 3 ნომერზე – 2 ავტოსადგომი; • გათვალისწინებულ იქნეს საბაგირო სადგურისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის (საზოგადოებრივი სივრცის) დაგეგმარება და კოხტის მთასთან კავშირის უზრუნველყოფა; • გათვალისიწინებულ იქნეს შიდა რეკრეაციული სივრცეები; • გათვალისწინებულ იქნეს სქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 8 აპრილის №1-1/196 ბრძანებისთ დამტკიცებული ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ მიერ N04/18 სხდომის ოქმში მითითებული რეკომენდაციები.
3.	მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გატანა, ან მათი სივრცით-გეგმარებითი წყობის შეცვლა.	• განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით.
4.	მოთხოვნები და იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა, ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედაობა და სხვა)	• განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში დადგენილი სამართლებრივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე; • დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები; • შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს ზოგადი საინჟირნო-გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი ინდა იქნეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებისას.
		• მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები (არსებობის შემთხვევაში);

5.	ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობები.	მათი გადარგვის ან მოჭრის შემთხვევაში შეთანხმებულ იქნეს შესაბამის სამსახურებთან. • წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის და გამწვანების სქემები; • გრგ-ს დამუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარიული კანონმდებლობის მოთხოვნები; • მიეთითოს ტერიტორიაზე ნაგვის ურნების განთავსების ადგილები.
6.	ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.	• პროექტით გათვალისწინებულ იქნეს ძირითად სატრანსპორტო ქსელთან მყარი კავშირები; • ტერიტორია უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნორმატიული პარამეტრების მქონე შიდა სატრანსპორტო ქსელით. ტრანსპორტის, ფეხმავალთა გადაადგილებისთვის და სახანძრო-საავარიო მომსახურებისთვის; • განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს შენობების უზრუნველყოფა საინჟინრო ინფრასტრუქტურით (წყალმომარაგება, კანალიზაცია, სანიაღვრე არხები, ელექტროენერგია, გაზმომარაგება, კავშირგაბმულობა) ტერიტორიის მიმდებარედ არსებული და საპროექტო საინჟინრო ქსელების შესაბამისად.

1.	მიწის ნაკვეთების ფართობი	88 801.00 $მ^2$			
2.	ტერიტორიის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი $კ^1$	0,3			
3.	ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი $კ^2$	-			
4.	ტერიტორიაზე შენობების მაქსიმალური სიმაღლე	11 მეტრი ფასადის სიმაღლე; 15 მეტრი კეხში.			
5.	ტერიტორიის გამწვანების კოეფიციენტი $კ^3$	0,3			
6.	ა) განაშენიანების რეგულირების ხაზები(წითელი ხაზები) ბ) განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები)	ა) კობა წაქაძის ქუჩის მხრიდან 6 მეტრი (დადგინდეს გრგ-ის პროექტით)			

		ბ) განისაზღვროს გრგ-ის პროექტით.	
7.	ა) ავტომანქანების ღია სადგომების რაოდენობა; ბ) ავტომანქანების მიწისქვეშა სადგომების რაოდენობა	განისაზღვროს გრგ-ს პროექტით.	
8.	შენობის მაქსიმალური სართულიანობა	მაქსიმუმ 3 მიწისზედა სართული და მანსარდა.	

<u>განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში –გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი</u>

1. განაცხადი;
2. ტერიტორიის გრგ და გეგმარებითი დავალება;
3. საკადასტრო რუკა და საკადასტრო გეგმა;
4. ზოგადი გეოლოგია;
5. გრგ-ის ტექნიკური ნაწილი: გრგ-ის აღწერა, განმარტებითი ბარათი, განხორციელების ეტაპები და რიგითობა;
6. სიტუაციური გეგმა, მ 1:2000 ან 1:1000;
7. ტოპოგეოდეზიური ანაზომი საპროექტო ტერიტორიის საზღვრებითა და მომიჯნავე ინფრასტრუქტურის ჩვენებით მ1:500;
8. ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა მ1:500 ან 1:1000 (არსებობის შემთხვევაში);
9. განაშენიანების რეგულირების გეგმის ფრაგმენტ(ებ)ი საჭიროების შემთხვევაში;
10. განშლები და ჭრილები, მ 1:500 ან 1:1000;
11. ფუნქციური ზონირების რუკა, (არსებობის შემთხვევაში);
12. მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯნვის სქემა);
13. ავტოტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის სქემა, მ 1:500 ან მ1:1000;
14. ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარება მ 1:1000 ან მ 1:200 ან მ 1:500;
15. მომიჯნავე ტერიტორიებზე გასატარებელი ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ჩამონათვალი მ1:500 ან 1:1000 (საჭიროების შემთხვევაში);
16. საინჟირნო კომუნიკაციების გადაწყობის ამსახველი გეგმა, მ 1:500 ან მ 1:1000 (საჭიროების შემთხვევაში);
17. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში).

შენიშვნები:

1. გრგ-ის პროექტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი წინასაპროექტო კვლევის მონაცემები, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ და ამ გეგმარებითი დავალების მოთხოვნის შესაბამისად.
2. გრგ-ის საპროექტო დოკუმენტაცია შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნეს A3 ფორმატის ალბომის სახით.
3. ამ გეგმარებითი დავალების VI მუხლის მე-5-მე-16 პუნქტებში მითითებული მასალები წარმოდგენილი იქნას ელექტრონული ვერსიის სახით CD დისკზე AutoCaD 2007-ის ან უფრო ახალი ვერსიის ფორმატში. საკოორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38-ს.
4. გრგ-ის წარმოსადგენ საპროექტო დოკუმენტაციას, მისი განხილვის მიზნით, აუცილებელია ახლდეს დოკუმენტაციის შინაარსის ამსახველი ელექტრონული ვერსია Pover-Point-ის ან PDF ფორმატში CD დისკზე.

5. გრგ-ით მოცემული უფლებრივი ზონირების დეტალურ რუკაზე დადგენილი და ასახული უნდა იქნეს:

- საპროექტო ტერიტორიის საზღვრები;
- მიწის ნაკვეთის საზღვრები;
- განაშენიანების რეგულირების ხაზები;
- შენობის მაქსიმალური დასაშვები სიმაღლეები H;
- მიწის ნაკვეთის განაწილების რუკა (გამიჯნვის სქემა);
- განაშენიანების კოეფიციენტი კ1;
- განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2;
- გამწვანების კოეფიციენტი კ3;
- ცალკეული მიწის ნაკვეთების ფუნქციური გამოყენება, სამანქანე გზები და ავტოსადგომები;
- მითითებული იყოს გაბარიტული ზომები.

დამატებითი მოთხოვნები

1. საპროექტო ტერიტორიის გრგ-ს დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაცია დამკვეთმა ან დამპროექტებელმა შესათანხმებლად წარადგინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.
2. წინამდებარე გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან 5 წლის განმავლობაში.

საკადასტრო მონაცემები
უძრავი ქონების მესაკუთრეთა მონაცემები
საკადასტრო გეგმები

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 64.30.01.575**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882021026118 - 18/01/2021 17:44:27

მომზადების თარიღი
18/01/2021 19:00:56

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ბორჯომი	ღაბა ბაკურიანი		
64	**30**	**01**	**575**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 27645.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **64.10.04.267;**

მისამართი: რაიონი ბორჯომი , დაბა ბაკურიანი , ქუჩა კობა წაქაძე , N 26

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: ობიექტი N1(შენობა-ნაგებობა) საერთო ფართი 331.649 კვ.მ. აქედან I-ლი სართულის საერთო ფართი 181.219 კვ.მ. მე-II სართულის საერთო ფართი 150.43 კვ.მ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882021026118 , თარიღი 18/01/2021 17:44:27
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/01/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ხელშეკრულება უძრავი ქონების უსასყიდლოდ გაღაცემის შესახებ , ღამოწმების თარიღი:18/01/2021 ,სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "ქართუ", ID ნომერი:204874421

მესაკუთრე:
ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "ქართუ"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**64.30.01.575**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**882021021700**	ფართობი:	**27645 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
მომზადების თარიღი:	**18/01/2021**		



კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:2800

05/25	მშენებარე ნაგებობა	05/25	შენობა/ნაგებობა		ტყის ფონდი
	ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		ხაზობრივი ნაგებობა		ვალდებულება

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 64.30.08.087**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882021026114 - 18/01/2021 17:44:06

მომზადების თარიღი
18/01/2021 19:21:57

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ბორჯომი	დაბა ბაკურიანი		
64	**30**	**08**	**087**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 61156.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **64.10.04.268;**

მისამართი: რაიონი ბორჯომი , დაბა ბაკურიანი , ქუჩა წრიული , N 26

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: ობიექტი N1 შენობა-ნაგებობა,აშენებული ოთხი სართული მანსარღით,საერთო ფართი: 3820.922კვ,მ აქეღან ცოკოლის სართულის ფართობი-830.028კვ,მ, I სართული-910,56კვ,მ, II სართული-775,39კვ,მ, III სართული-779,261კვ,მ.მანსარღის სართული-543,518კვ,მ.ობიექტი N2 შენობა-ნაგებობა,ერთი სართული -17,835კვ,მ, ობიექტი N3 შენობა-ნაგებობა-ორ სართულიანი, საერთო ფართი: 2631.662კვ,მ,I სართული-1334,362კვ.მ, II სართული-1297.30კვ.მ, ობიექტი N4 შენობა-ნაგებობა, ერთი სართული მანსარღით საერთო ფართი:155.145კვ.მ, I სართული--85.155კვ.მ, მანსარღი-69.99კვ,მ, ობიექტი N5 შენობა-ნაგებობა, ერთი სართული -24.76კვ,მ, ობიექტი N6 შენობა-ნაგებობა, ერთი სართული-643.561კვ,მ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882021026114 , თარიღი 18/01/2021 17:44:06
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/01/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ხელშეკრულება უძრავი ქონების უსასყიღლოდ გაღაცემის შესახებ , ღამოწმების თარიღი:18/01/2021 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
ა.ი.პ. "საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ქართუ", ID ნომერი:204874421

მესაკუთრე:
ა.ი.პ. "საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ქართუ"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *64 30 08 087*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882014254870
მიწის ნაკვეთის ფართობი: *61156* კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
კატეგორია:
მომზადების თარიღი: 20.05.2014



01/2	შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა	ვალდებულება	ხაზობრივი ნაგებობა
	მიწის ნაკვეთის საკადასტრო სახზვარი	მშენებარე ნაგებობა	UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახური. ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1
www.napr.gov.ge

განმატრებითი ბარათი

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დამუშავებულია კერძო დაკვეთით და მიზნად ისახავს ტერიტორიის გეგმარებით და სამართლებრივ მომზადებას სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის. პროექტი მოიცავს: სასტუმრო კომპლექსს, სასტუმრო აპარტამენტებს, სპორტულ კომპლექსს, კერძო შეწყვილებულ (თაუნჰაუზის ტიპი) საცხოვრებელ სახლებს, კოტეჯს, საზოგადოებრივ დანიშნულების კომერციულ ფართებს და სათხილამურო საბაგირო გზის სადგურებს. დაგეგმილია ასევე საპროექტო არეალის ფარგლებში მდებარე სარეკრეაციო სივრცეების კეთილმოწყობა გაჯანსაღება და კომპლექსის სრულყოფილი შიდაკვარტალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

გრგ-ს შემუშავების საფუძველია: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #59 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის – „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“. ასევე გრგ-ს პროექტის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის განკარგულება #2566 (15.12.2016) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის #1-1/54 ბრძანებით (2018 წლის 8 თებერვალი) დამტკიცებული გეგმარებითი დავალება.

ზემოთხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმა დამუშავებულია იმ საკანონმდებლო მოთხოვნებით, რომელიც მოქმედებდა გრგ-ს გეგმარებითი დავალების დამტკიცების მომენტისთვის.

გრგ-ს ტექსტური ნაწილი მოიცავს როგორც ზოგად აღწერას, განმარტებით ბარათს, ეფექტიანობის შეფასებას, ეტაპებისა და რიგითობის აღწერას, ასევე სამართლებრივ აქტებს, საკადასტრო მონაცემებს, დასკვნას მწვანე ნარგავების შეფასების შესახებ, დენდროპროექტს და საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას.

გრგ-ს გრაფიკული ნაწილი შედეგება: ზონირების ნაწილისგან, მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტების დოკუმენტისგან, თემატური ნაწილებისგან, საინჟინრო ნაწილისგან, საპროექტო ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტისგან და ა. შ.

საპროექტო ტერიტორია რომლის არეალში დღეს მოქცეულია ორი რეგისტრირებული საკადასტრო ნაკვეთი (ს/კ 64.30.01.575 და 64.30.08.087) მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში, კობა წაქაძის ქუჩა #26-ში და წრიულის ქუჩა #26-ში. თავისი მდებარეობით საპროექტო ლოკაცია წარმოადგენს დაბა ბაკურიანის საკურორტო ზონის განუყოფელ ნაწილს, რომელიც მონაწილეობს დასახლების მიმდებარედ არსებული რეკრეაციული სივრცის ფორმირებაში. აეროგადაღების მონაცემებზე დაყრდნობით საპროექტო არეალის მიმდებარედ ბოლო წლებში იმატა წარმოდგენილი გრგ-ს ანალოგიური ფუნქციური სახეობების მქონე შენობების მშენებლობამ.

დაგეგმვის საჭიროება

დამკვეთს წარმოადგენს ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“, რომელიც ასევე მოქმედებს ორივე საკადასტრო ერთეულის მესაკუთრის სახელით. პროექტით განსაზღვრულია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის განხორციელება.

საპროექტო არეალი დამუშავებული წინადადების თანახმად, უნდა განვითარდეს ცხრა სექტორად (იხ. ცხრილი 1). საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციის მქონე საპროექტო და არსებული შენობა-ნაგებობები, კერძოდ, არსებული სპორტული კომპლექსი და საცხოვრებელი კოტეჯი შენარჩუნდება სრულად. ხოლო საცხოვრებელი კორპუსი კი დაექვემდებაება დემონტაჟს

ცხრილი 1. შენობების ექსპლიკაცია ნაკვეთების მიხედვით

შენობების ექსპლიკაცია		
ნაკვეთის ნომერი	შენობის ნომერი	განაშენიანების სახეობა
1	1	საცხოვრებელი, სასტუმრო აპარტამენტები. მიწისპირა კომერციული სართულით
	2	
	3	
	4	
	5	
2	6	საცხოვრებელი, სასტუმრო აპარტამენტები. მიწისპირა კომერციული სართულით
	7	
3	8	საცხოვრებელი, სასტუმრო აპარტამენტები
4	9	საცხოვრებელი, სასტუმრო აპარტამენტები
	10	
5	19	კომერციული, საბაგირო ინფრასტრუქტურა
6	17	არსებული შენობა - სპორტული დარბაზი
7	18	არსებული შენობა - საცხოვრებელი კოტეჯი. საბაგირო ინფრასტრუქტურა
8	11	სასტუმრო
9	12	თაუნჰაუზები
	13	
	14	
	15	
	16	

ასევე მოხდება არსებული სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია და საბაგიროს ინფრასტრუქტურისთვის საჭირო ტერიტორიის გათვალისწინება.

ტურისტების მზარდი ნაკადის გამო უმთავრესი საჯარო ინტერესია ბაკურიანის ვიზიტორთათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის დახვედრა. რადგან სასტუმროების სექტორი პირდაპირ ბმაშია ტურისტულ ნაკადებთან.

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით განსაზღვრულია:

- გეგმარებითი დავალების და მისი დამტკიცების დროს მოქმედი რეგულირების წესებით განსაზღვრული სამშენებლო პარამეტრების გათვალისწინებით, დაგეგმილი ინფრასტრუქტურის განთავსების არეალების და სხვა ტექნიკურ-სამართლებრივი ასპექტების გადაწყვეტა. გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე მოქმედი ზონირების რეჟიმის შენარჩუნება და მისი დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციური სახეობების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროექტით გამოყენებულა გაცილებით შემცირებული სამშენებლო პოტენციალი, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე. ასევე მრავალფეროვანი განაშენიანების შექმნის მიზნით, დასაგეგმარებელი მოცულობების სართულიანობა მერყეობს (**1; 2; 3; 4 სართულის დიაპაზონში + რიგ შემთხვევაში მანსარდის გამოყენებით).** საქართველოს მთავრობის განკარგულება #2566-ის (15.12.2016) თანახმად, ავტოსადგომების დაგეგმარება განხორციელდა მაქსიმალურად მიწისქვეშა სივრცის გამოყენებით.

- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რელიეფის მაქსიმალური შენარჩუნება

და გაჯანსაღება.

. დასაგეგმარებელ ობიექტებთან დაუბრკოლებელი სატრანსპორტო მისადგომობის ორგანიზება

. მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნა და ინფრასტრუქტურული განვითარება.

დაგეგმვის მიზნები და ამოცანები

1. ტექნიკური დავალებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, გრგ-ში გამოიკვეთა შემდეგი სახის მიზნები: მრავალფუნქციური კომპლექსის განვითარებისთვის საპროექტო ტერიტორიის ერთიანი სივრცით-გეგმარებითი გააზრება და საპროექტო მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები 64.30.01.575 და 64.30.08.087) განაშენიანების რეგულირება, მათი გაერთიანება და შემდგომ 9 დამოუკიდებელ სექტორად დაყოფა. შესაბამისად აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლო განვითარებისთვის დაგეგმილია, გეგმარებითი დავალების დამტკიცების დროს მოქმედი ფუნქციური ზონირების რეჟიმის საცხოვრებელი ზონა 5-ის გამოყენება.
2. საცხოვრებელი ზონა 5-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის განვითარების მიზანშეწონილობის შეფასების ძირითადი განმასზღვრელია: დაგეგმილი მრავალფუნქციური კომპლექსის შემადგენელი ობიექტები; სატრანსპორტო მისადგომობა. გზებისა და ქუჩების გამტარუნარიანობა. სამშენებლო განვითარების საკმაოდ დიდი რესურსი (მიმდებარე ტერიტორიაზე სასტუმროს და სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლების სამშენებლო განვითარების პრეცენდენტი, უკვე პრაქტიკულად დაინერგა მითითებულ საკურორტო ზოლში). წარმოდგენილი პროექტი სრულად ითვალისწინებს 2016 წლის 15 დეკემბრის საქართველოს მთავრობის 2566 განკარგულებით განსაზღვრულ დროებით შეზღუდვებს კ1-ის და კ3-ის ზღვრული მაჩვენებლების დარეგულირების ნაწილში. ასევე ავტოსადგომების მაქსიმალურად მიწისქვეშა სივრცეში განთავსების კუთხითაც, რისთვისაც ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია ორ დონიანი ავტოსადგომის მოწყობის პრინციპი.

   აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში საკურორტო ქალაქები და დასახლებები, ძირითადად ფუნქციონირებს სეზონურად, სადაც განაშენიანების ყველაზე მოთხოვნად სახეობად ჩამოყალიბდა - სასტუმრო ან სასტუმროს ტიპის აპარტამენტები. შესაბამისად დღის წესრიგში დგება, უშუალოდ აღნიშნული საპროექტო ლოკაციის, საკურორტო ზონებისთვის მეტად მოთხოვნადი ფუნქციური დანიშნულებით განვითარება. აღნიშნული დასახლების საკარკასო სივრცეზე გამომავალი ნაკვეთების მსგავსად, სასურველია ამავე ნაკვეთზეც საცხოვრებელი; საზოგადოებრივ-დასასვენებელი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სახეობის შესაბამისი ფუნქციის განვითარება.

   საპროექტო კონცეფციის განვითარებისას, არ ხდება გრგ-ს დავალებით მონიჭებული კ-1 კოეფიციენტის მაქსიმალური მაჩვენებლის ათვისება (იხ. ცხრილი 2), ასევე აღსანიშნავია, რომ დავალების დამტკიცების პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით მოცემულ ტერიტორიაზე გავრცელებული ზონა სზ-5-ისთვის განსაზღვრული იყო შემდეგი პარამეტრები:

   მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ1-0.5;

   მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ2-1.8-მდე;

მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი კ3-0.1;

შენობის მაქსიმალური სიმაღლე – 16.5 მ

ცხრილი 1. გრგ-ს გეგმარებითი დავალებით მონიჭებული პარამეტრების ცხრილი.

1.	მიწის ნაკვეთების ფართობი	88 801.00 $მ^2$		
2.	ტერიტორიის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ1	0,3		
3.	ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ2	-		
4.	ტერიტორიაზე შენობების მაქსიმალური სიმაღლე	11 მეტრი ფასადის სიმაღლე; 15 მეტრი კეხში.		
5.	ტერიტორიის გამწვანების კოეფიციენტი კ3	0,3		
6.	ა) განაშენიანების რეგულირების ხაზები(წითელი ხაზები) ბ) განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები)	ა) კობა წაქაძის ქუჩის მხრიდან 6 მეტრი (დადგინდეს გრგ-ის პროექტით)		

3. საპროექტო არეალი დამუშავებული წინადადების თანახმად, ჯერ უნდა გაერთიანდეს და შემდგომ გაიმიჯნოს 9 სექტორად, რომელზეც იფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობები.

გრგ-ს პროექტით დადგინდა შემდეგი მახასიათებლები:

- მოხდა საპროექტო არეალის და შენობების გაბარიტული მახასიათებლების განსაზღვრა. გეგმარებითი დავალების პირობის თანახმად განსაზღვრული რეგულირების ხაზის და დადგენილი სიმაღლის შეზღუდვის დაცვის ფარგლებში;

- სრულყოფილი დასასვენებელი და გამაჯანსაღებელი ფუნქციის ორგანიზებისთვის გათვალისწინებულია არსებული სპორტ. დარბაზის შენობის რეაბილიტაცია.
- საპროექტო ტერიტორიას ფაქტიურად 3 მხრიდან ესაზღვრება ქუჩათა ქსელი, შესაბამისად ტერიტორია, საკმაოდ დიდი მონაკვეთით ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს. დაგეგმვის საჭიროებიდან გამომდინარე, ტერიტორიის შუა ღერძში, კობა წაქაძის ქუჩიდან გეგმარდება ძირითადი შესასვლელი - განვითარებული 12 მეტრიანი სიგანის მქონე სავალი ნაწილი და 7 მეტრიანი შიდასაუბნო გასასვლელები, რომლებიც აერთიანებენ ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ქუჩებს. ხევის მეორე მხარეს არსებულ, შედარებით მყუდრო, მე-9 ნაკვეთზე მდებარე თაუნჰაუსების არეალში ასევე ხორციელდება შესვლა კობა წაქაძის ქუჩის მხრიდან, თუმცა საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმარებული საავტომობილო შიდა ქსელი ასევე იძლევა ძირითად, 12 მ-იან ქუჩასთან კავშირის საშუალებას. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმარებულ ძირითად საავტომობილო გზაზე, რომელიც სრულდება საზოგადოებრივ სივრცეებთან მისული მოედნით და ასევე თაუნჰაუსების ტერიტორიაზე შემავალ გზაზეც ვრცელდება სატრანსპორტო ზონა. პროექტით განსაზღრულ ნაკვეთ N-5-ზე დაგეგმილია სამომავლოდ გათვალისწინებული საბაგირო ინფრასტრიქტირის მოწყობა, შესაბამისად აღნიშნული გეგმარება შესაძლოა შეიცვალოს და დაზუსტდეს დეტალური პროექტირების ეტაპზე.

საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილი საინჟინრო-საგზაო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი ყველა ობიექტის გამართულ ფუნქციონირებას. საპროექტო ტერიტორიაზე გამოყოფილია 3 არეალი საპროექტო ტრანსფორმატორების განსათავსებლად, რომლებიც მდებარეობს პირველ, მეოთხე და მე-8 ნაკვეთბზე და აღნიშნული სიმძლავრეები მთლიანად უზრუნველყოფს საპროექტო მოცულობების საჭიროებებს, ასევე თითოეულ ტრანსფორმატორთან გათვალისწინებულია თავისუფალი საავტომობილო წვდომა, მისი ექსპლუატაციის და მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ძირითადი გზის მეშვეობით ხორციელდება საპროექტო საბაგირო სადგურთან უწყვეტი კავშირი, როგორც მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებებით, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტიტაც. აღნიშნული გზის გამოყენებით საბაგიროს ინფრასტრუქტურით სარგებლობა შეუძლია, არამხოლოდ ამჟამად წარმოდგენილი კომპლექსის მაცხოვრებელს, ან დამსვენებელს, არამედ ნებისმიერ მსურველს. შესაბამისად წარმოდგენილი პროექტით ხდება დაბა ბაკურიანის საკურორტო ინფრასტრუქტურისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დეტალის, კიდევ ერთი საჯარო სარგებლობის საბაგირო სადგურის გაჩენა. ტერიტორიაზე განსაზღვრულია ასევე საფეხმავლო ბილიკების დაგეგმარება, როგორც სექტორებს შორის და მათ საზღვრებში მარტივი გადაადგილებისთვის, ისე საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ. მაგალითად მე-8 ნაკვეთზე, რომელიც განკუთვნილია სასტუმროს მოსაწყობად გათვალისწინებულია 2 საფეხმავლო კავშირი ჩრდილოეთით მდებარე და აღმოსავლეთ ნაწილში მომიჯნავედ არსებულ გზებთან.

შენობის სიმაღლის მაჩვებლის დაანგარიშება კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებულია ქუჩისპირა საზოგადოებრივი სივრცეებიდან და უკანა ეზოებიდან. საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს დახრილ რელიეფზე, შესაბამისად სიმაღლის დაანგარიშებაც ხდება საპროექტო მოცულობის გრუნტთან შეხების ნიშნულებიდან (იხ.

გრაფიკული ნაწილის ფურცლები „შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლის დადგენა. ჭრილები“).

კომპიუტერული ვიზუალიზაციიდან ნათლად ჩანს, რომ კომპლექსის ცალკეული შენობები მაქსიმალურად მორგებულია არსებულ რელიეფს. წარმოდგენილი გრგ-ს ფარგლებში შედგენილია დასკვნა მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე, ასევე ამის გათვალისწინებით დამუშავებულია დენდროპროექტი. საპროექტო მოცულობები მორგებულია მიმდებარე განაშენიანების განშლის პანორამულ ხედს, რაც თანამედროვე სტანდარტების მქონე ახალი ობიექტიების გაჩენის ხარჯზე, ემსახურება საკურორტო განაშენიანებისთვის უკვე დანერგილი წყობის შენარჩუნებას და მის განვითარებას.

- ნაკვეთის სამშენებლო განვითარების კონცეფციაში, ასევე გადამწყვეტ როლს თამაშობს მის საზღვრებს გარეთ, დასავლეთით მდებარე რეკრეაციული სივრცე, რომელზეც ახალი გენგეგმის თანახმად განისაზღვრა ცენტრალური პარკის დაგეგმარება. სწორედ ამ უნიკალური ლოკაციის გვერდით მნიშვნელოვანია ერთიანი განაშენიანების პრინციპით შემუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსის გაჩენა. პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზიდულობის წერტილს წარმოადგენს, სასრიალო ტრასების უშუალო სიახლოვეც. წამოდგენილი წინადადებით განისაზღვრა საპროექტო მოცულობების ძირითადი ფასადების და დასაგეგმარებლელი სასტუმროს ნომრების სწორედ ცენტრალური პარკის სივრცეზე ორიენტირება. საპროექტო მოცულობის წარმოდგენილი სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტა, მაქსიმალურად ხაზს გაუსვამს დაბა ბაკურიანის ამ მონაკვეთის მნიშვნელოვან თავისებურებებს და უფრო ცნობადს გახდის მითითებულ სივრცეს, რომელიც დღეს საკმაოდ არაკეთილმოწყობილი და მოუწესრიგებელია;

გეგმარებითი დავალებით განსაზღვრული პირობის დაცვით, ყველა დამოუკიდებელ სექტორში გათვალისწინებული, ფუნქციური სახეობისთვის საჭირო რაოდენობის ავტოსადგომების დაგეგმარება და სამარშრუტო ავტობუსის მისადგომობის ჩამოყალიბება. დაანგარიშების პრინციპი იხილეთ ცხრილი 3-ში.

ცხრილი 2. ავტოსადგომების რაოდენობის დაანგარიშება ნაკვეთებზე არსებული განაშენიანების სახეობების, ფართობების, ასევე ბინების, სასტუმროს ნომრების, თაუნჰაუსების რაოდენობის მიხედვით.

ნაკვეთის №	განაშენიანების სახეობა	საცხოვრებელი, სასტუმრო აპარტამენტების/ სასტუმროს/ თაუნჰაუსების რაოდენობა	კომერციული ფართი	ავტოსადგომების საჭირო მინიმალური რაოდენობა			ავტოსადგომების პროექტით დადგენილი საპარკაჟო რაოდენობა			
				საცხოვრებელი, სასტუმრო აპარტამენტების/ სასტუმროს/ თაუნჰაუსების	კომერციული ობიექტებისთვის	ჯამური რაოდენობა	მინისპირა ზონა ავტოსადგომების რაოდენობა	მინისქვეშა ავტოსადგომების რაოდენობა -1 დონეზე	მინისქვეშა ავტოსადგომების რაოდენობა -2 დონეზე	ჯამური რაოდენობა
1	საცხოვრებელი, სასტუმრო აპარტამენტები. მინისპირა კომერციული სართულით	257	4757	257	238	495	0	250	249	499
2		105	1993	105	100	205	0	103	102	205
3	საცხოვრებელი, სასტუმრო აპარტამენტები.	75	–	75	0	75	0	52	26	78
4		158	–	158	0	158	18	140	0	158
5	კომერციული, საბაგიროს ინფრასტრუქტურა	0	567	0	28	28	29	0	0	29
6	არსებული სპორტული დარბაზი	0	2193	–	–	0	0	0	0	0
7	არსებული კოტეჯი, საბაგიროს ინფრასტრუქტურა	2	–	2	0	2	3	0	0	3
8	სასტუმრო	150	–	100	0	100	34	114	0	148
9	თაუნჰაუზები	31	–	31	0	31	38	0	0	38
ჯამი		778	9509			1094	122	659	377	1158

განვითარების მიზანი:

1. ფუნქცია:
   საცხოვრებელი; სასტუმრო, სავაჭრო, სპორტული, საინჟინრო-ტექნიკური, სარეკრეაციო-დასასვენებელი, სათხილამურო-საბაგირო გზის ინფრასტრუქტურის ობიექტები.

2. **განაშენიანების რეგულირების პარამეტრები:** (ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით განსაზღვრულია:

საცხოვრებელი ზონა 5-ის (დღევანდელი საკურორტო ზონა 2)- ფართობი: 82 658კვ.მ და

სატრანსპორტო ზონა 1-ის (დღევანდელი ლოკალური ტრანსპორტის ტერიტორია) - ფართობი 6143კვ.მ რეჟიმის გავრცელება;

მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ1-0.3 **(საპროექტო კ1-0.2).**
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 = -; **(საპროექტო სავარაუდოთ კ2-0,9).**

შენობების მაქსიმალური სიმაღლე - 11 მეტრი ფასადის სიმაღლე; 15 მეტრი კეხში;
მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ3-0.3; **(საპროექტო კ3-0.4).**

საპროექტო ტერიტორიის ფართობი	კონკრეტული ფუნქციური ზონა		კ-1 -ის საანგარიშო ფართობი (მ2)	კ-1	კ-2 -ის საანგარიშო ფართობი (მ2)	კ-2	კ-3 -ის საანგარიშო ფართობი (მ2)	კ-3
	სატრანსპორტო ზონა 1	საცხოვრებელი ზონა 5						
88801	6143	82658	20622	0,2	70508	0,9	33558	0,4
შენიშვნა: კოეფიციენტების საანგარიშო ფართობები მიახლოებითია								

3. საინჟინრო ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფისთვის იდენტიფიცირებულია ძირითადი და ლოკალური ქსელები, რაც არსებობს ტერიტორიაზე და მიმდებარედ. საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის პროექტი იხილეთ გრაფიკულ ნაწილში

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- გახსნილი სივრცეები - საპროექტო ლოკაციას მთელ პერიმეტრზე გააჩნია ხედი ბაკურიანის დასახლების და რეკრეაციული ლანდშაფტის სივრცეზე, რაც პოზიტიურად აისახება დაგეგმილ სივრცით-მოცულობით გადაწყვეტაზე.
- მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მკვეთრად რეკრეაციული მახასიათებლების მქონე გამწვანებული ტერიტორია, რომელიც შინაარსობრივად გამოიყენება და აღიქმება საპროექტო კომპლექსის განუყოფელ ნაწილად. თავად ბაკურიანის დასახლების სამკურნალო მიკროკლიმატური პირობები, რაც აღნიშნულ ტერიტორიას ძირითად არეალს უფრო ეფექტიანს, მიმზიდველს და კომფორტულს ხდის.
- მყუდრო და ამავდროულად გახსნილი ურბანული სივრცე
- არსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია.
- თვითკმარი, მაღალხარისხიანი, მრავალფუნქიური დასახლების გაჩენის შესაძლებელობა.

სუსტი მხარეები:

- დაბა ბაკურიანის მასშტაბით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებელი მდგომარეობა.

შესაძლებლობები:

- თანამედროვე სტანდარტების მქონე, მაღალი კლასის საცხოვრებელი და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის გაჩენის შესაძლებელობა.
- ბაკურიანის საკურორტო ტერიტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზიდულობის წერტილია დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ფუნქციურად სწორი დატვირთვით.
- ტერიტორიის სპორტულ-გამაჯანსაღებელი, დასასვენებელი ფუნქციებით დატვირთვის შესაძლებლობა, რომელიც უფრო მიმზიდველს გახდის საპროექტო მრავალფუნქციურ კომპლექსს.
- სოციალური ინფრასტრუქტურის მოწყობის შესაძლებლობა, რომელიც სწორი დაგეგმარების შემთხვევაში გააჩენს ახალ სამუშაო ადგილებს, არა მხოლოდ არსებული დასახლებისთვის, არამედ მთელი ბორჯომის რაიონის მასშტაბით.
- ლოკალური საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებელობა;
- რეკრეაციული სივრცეების, მოწესრიგებულ სტრუქტურაში ჩართვა. (დაგეგმარებული და მოწესრიგებული სივრცე, მხოლოდ წაახალისებს მიმდებარე განაშენიანების რეგისტრაციების მესაკუთრეებს, შეიქმნან უკეთესი და ჯანსაღი პირობები და გარემო).

გამოწვევები:

- დაბა ბაკურიანისთვის სივრცულად მნიშვნელოვანი ტერიტორია, რომელიც უშუალოდ აღიქმება მიმდებარე ტერიტორიის დაბალი და მაღალი ნიშნულებიდან.
- გეოლოგიური მდებარეობის შეფასება დაგეგმილ ინტენსივობასთან შეფარდებით.

სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები.

გრგ-ს დადგენილი/დაზუსტებული მიწათსარგებლობის ზონირების სახეები:

- ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება: პერიფერიული ზონა;
- გეგმარების შემზღუდავი ზონირება: განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით განსაზღვრული 6 მეტრიანი შეზღუდვა კობა წაქაძის ქუჩის მხრიდან გზის გაყოლებაზე. მითითებულ არეალში აკრძალულია რაიმე ტიპის მშენებლობა;
- საქართველოს მთავრობის განკარგულება #2566-ით (15.12.2016) განსაზღვრული დროებითი შეზღუდვები.

- **ფუნქციური ზონირება: სზ-5**

ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რეგლამენტებიდან მხოლოდ განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრები ექვემდებარება რეგულირებას;

ფუნქციური ზონირების რეგლამენტები საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5):

ა) საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. **(სზ-5-ში მოქცეული ტერიტორია შეადგენს საერთო ფართობის 93%-ს, რომლის ჯამური საანგარიშო ფართობია 82658კვ.მ);**

ბ) კოეფიციენტები:

ბ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) - 0.5 **(საპროექტო კ1-0.2 მიახლოებითი საანგარიშო ფართობი 20622კვ.მ);**

ბ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) 1.8 **(საპროექტო 0,9 მიახლოებითი საანგარიშო ფართობი 70508კვ.მ);**

ბ.გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) - 0,1 **(საპროექტო კ3 - 0.4 მიახლოებითი საანგარიშო ფართობი 33558კვ.მ).**

ბ.დ) ტერიტორიაზე შენობების მაქსიმალური სიმაღლე 16,5 მეტრი;

სზ-5 : უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობები განისაზღვრება მოქმედი რეგულაციით.

ჩამონათვალი მოცემულია სივრცით-ტერიტორიული განვითარების დეტალურ რეგლამენტებში იხილეთ გრაფიკული ნაწილი

ზემოაღნიშნული მაჩვენებელების ფუნქციური შერევის ხარისხები ნაწილდება შემდეგნაირად:

საცხოვრებელი ფართობი დაახლოებით: 43372 კვ.მ;

საცხოვრებელი ბინების რაოდენობა დაახლოებით: 627;

სავაჭრო-კომერციული ფართობი დაახლოებით 9509 კვ.მ;

სასტუმროს ფართობი დაახლოებით 8817კვ.მ;

სასტუმრო ნომრების რაოდენობა დაახლოებით 150;

ავტოსადგომების აუცილებელი ჯამური რაოდენობა 1094ერთეული (საპროექტო 1158)

დამტკიცებული გრგ-ს გეგმარებითი დავალების მოთხოვნების შესაბამისად "ღია და დახურული ავტოსადგომები მოეწყოს შემდეგი გაანგარიშებით:

„ბინების შემთხვევაში ერთი ავტოსადგომი კ-2 საანგარიშო ფართობის 100მ 2 -ზე, მაგრამ არანაკლებ 1 ბინაზე –1 ავტოსადგომისა.

სასტუმროს შემთხვევაში 3 ნომერზე – 2 ავტოსადგომი"

გეგმარებითი დავალების დამტკიცების მომენტისთვის მოქმედი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აგვისტოს #495 დადგენილების "ბაკურიანში წრიული გზის აღმოსავლეთით მდებარე კოხტას ძირისა და 25-მეტრიანი ტრამპლინის ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ" მიხედვით:

"განაშენიანების რეგულირების გეგმით განსაზღვულ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული უნდა იყოს საკუთარი მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ავტოსადგომები შემდეგი ნორმით:

...

გ) საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების და შენობებისთვის - 1 ავტოსადგომი შენობის ფართობის ყოველ 20 კვ.მ-ზე"

მოცემულ გრგ-ში ავტოსადგომების დაანგარიშების პრინციპი შეესაბამება ზემოთაღნიშნულ გრგ-ს გეგმარებითი დავალების, ხოლო საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების ნაწილში 2014 წლის 14 აგვისტოს დადგენილება #495 მოთხოვნებს, კერძოდ:

- საცხოვრებელი, სასტუმრო აპარტამენტებისთვის და თაუნჰაუზებისთვის - 1 ბინაზე 1 ავტოსადგომი (ბინის საშუალო სავარაუდო ფართობით 50-55 კვ.მ; თაუნჰაუსის სავარაუდო ფართობით 100 კვ.მ);
- სასტუმროსთვის (ნომრების სავარაუდო რაოდენობა - 150) 3 ნომერზე 2 ავტოსადგომი;
- კომერციული ობიექტებისთვის 1 ავტოსადგომი შენობის სასარგებლო ფართობის 20 მ2-ზე. **ჯამში ავტოსადგომების საჭირო მინიმალური რაოდენობა მთელი ტერიტორიისთვის შეადგენს 1094 ერთეულს, ხოლო გრგ-ს პროექტით სავარაუდო რაოდენობა 64 სადგომით აღემატება დადგენილ მინიმუმს და შეადგენს 1158 ერთეულს.**

(დეტალური ანგარიშები ნაკვეთების მიხედვით იხილეთ ცხრილი 3-ში და გრაფიკულ ნაწილში)

თემატური ნაწილის რეგლამენტები

მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსება და მათი მაქსიმალური სიმღლეები:

1. მიწის ნაკვეთ(ებ)ზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები, მათი მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა და მათი ნაწილების საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში შეჭრის საკითხები რეგულირდება „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება #491, 2014 წლის 12 აგვისტო. მუხლი 11).
2. ტექნიკური რეგლამენტის - დასახელებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება #59-ს 3 მუხლის 23 პუნქტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე კანონმდებლობის შესაბამისად გამოიყენება უკანა ეზოს პრინციპი. მიმდებარედ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საპროექტო ნაკვეთებს ინდივიდუალურად უდგინდება საზოგადოებრივი სივრცის, სამეზობლო მიჯნის და უკანა ეზოს საზღვრები. ერთიანი ტერიტორიის სექტორებად დაყოფის ნაწილში, რეგისტრაციების ასეთი დაკომპლექტების ტიპი, საჭიროებს მიჯნის ზონაში განიავებადი სივრცის გაჩენის აუცილებლობას, რომელიც დაცულია უკანა ეზოს დადგენის ნაწილში.
3. განაშენიანების რეგულირების (წითელი ხაზები) დადგენილია გეგმარებითი დავალების საფუძველზე იმ პრინციპით, რომ საპროექტო მოცულობა ლოგიკური დისტანციით - 6 მეტრით მოცილდეს ძირითად სავალ ნაწილს; დაცული იქნეს სამეზობლო და უკანა ეზოების მიჯნის ზონები.

4. სავალდებულო (ლურჯი) ხაზები არ არის დადგენილი.
5. საპროექტო კომპლექსის სპეციფიკიდან გამომდინარე დაგეგმარების სივრცით-გეგმარებით წყობა ძირითადად არის ღია ან შერეული.

ეტაპები და რიგითობა (გრაფიკული ნაწილის რუკა 2,12):

გრგს განხორციელების ეტაპები განსაზღვრულია მოცემული განაშენიანების რეგულირების პროექტით, განხორციელების საჭიროების გათვალისწინებით. საპროექტო წინადადებით მშენებლობის განხორციელება იგეგმება შემდეგნაირად:

1 დაიწყება ძირითადი მიწის სამუშაოები. ასევე მოეწყობა გრუნტის გზების და მოხდება მათი მობეტონება;
2. კომუნიკაციის გაყვანა დაერთება შენობების აგება;
3. ტერიტორიის კეთილმოწყობა, დასუფთავება, ასფალტის გზის მოწყობა და ტერიტორიის გამწვანება დენდროლოგიური პროექტის თანახმად.

გრგ-ს შემადგენელ ყველა ობიექტს მინიჭებული აქვს განხორციელების რიგის ნომერი. რომლის მიხედვითაც გამოყოფილია შემდეგი თანმიმდევრობა:

I ეტაპი - პირველ ნაკვეთში საცხოვრებელი სახლების - #1; 2; 3; 4 და 5-ის მშენებლობა;

II ეტაპი - მეორე ნაკვეთში საცხოვრებელი სახლების მშენებლობა - შენობა #6 და #7-ის მშენებლობა;

III ეტაპი - მერვე ნაკვეთში შენობა #11-ის მშენებლობა;

IV ეტაპი - მეხუთე ნაკვეთში შენობა #19-ის მშენებლობა;

V ეტაპი - მეოთხე ნაკვეთში შენობა #9-ის და 10-ის მშენებლობა;

VI ეტაპი - მესამე ნაკვეთში შენობა #8-ის მშნებლობა;

VII ეტაპი - მეცხრე ნაკვეთში შენობა #12; 13; 14; 15 და 16-ის მშენებლობა

მწვანე ნარგავების რაოდენობრივ-ხარისხობრივი შეფასება
(საექსპერტო დასკვნა)

დაბა ბაკურიანი, კობა წაქაძის ქუჩა №26, ს/კ 64.30.08.087 და 64.30.01.575

შემსრულებელი: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“
თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე

2020

საკონტაქტო ინფორმაცია

დამკვეთი: ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“

საკონტაქტო ტელეფონი:

საკონსულტაციო კომპანია: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“

თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე
საკონტაქტო ტელეფონი: +995 (99) 27 50 10
ელექტრონული ფოსტა: iliaokromelidze@gmail.com

შინაარსი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია დაბა ბაკურიანში, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მდებარე ხე-მცენარეების რაოდენობრივ-ხარისხობრივი შეფასების შედეგები.

საკვლევი ტერიტორია

ადგილმდებარეობა: დაბა ბაკურიანი, კობა წაქაძის ქუჩა №26

საკადასტრო კოდები: 64.30.08.087 და 64.30.01.575

საერთო ფართობი: 88 801 $მ^{2.}$

სტატუსი: ს/კ 64.30.08.087 - არასასოფლო-სამეურნეო, კერძო; ს/კ 64.30.01.575 – სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო), კერძო

გარემოს დახასიათება: ბუნებრივი ტყის მომიჯნავე ტერიტორია სარეკრეაციო ტიპის გამწვანებით

ჩატარებული სამუშაო

შემსრულებელი: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“

საველე სამუშაოს პერიოდი: 2-4 ოქტომბერი, 2020 წ.

ადგილზე მოხდა მერქნიანი მცენარეების: (1) აღრიცხვა; (2) მდგომარეობის ვიზუალური შეფასება; (3) ფოტოგადაღება; (4) სივრცითი განლაგების განსაზღვრა მაღალი სიზუსტის მოწყობილობის გამოყენებით.

აღებული მასალის საფუძველზე: (1) შედგა მცენარეთა აღრიცხვა-შეფასების უწყისი; (2) თითოეული აღწერილი მცენარე დატანილ იქნა ტოპო-გეგმაზე.

გამოყენებული მეთოდი

აღსარიცხი მცენარეები: საკვლევ ტერიტორიაზე არსებული, არანაკლებ 6 სმ ღეროს დიამეტრის მქონე ყველა მერქნიანი მცენარე.

მცენარის ღეროს/ძირის დიამეტრი: ღეროს დიამეტრი გაზომილი მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 10 სმ სიმაღლეზე.

ერთ მცენარედ მიჩნეულ იქნა: სავარაუდოდ საერთო ფესვზე განვითარებული ყველა ღეროს (ძირის) ერთობლიობა.

თითოეული მცენარისთვის მოხდა: (1) ინდივიდუალური ნომრის მინიჭება; (2) სახეობის ან გვარის განსაზღვრა; (3) ფოტოდოკუმენტირება; (4) მდებარეობის ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატების აღება; (5) არანაკლებ 6 სმ დიამეტრის მქონე ყველა ღეროს დათვლა; (6) არანაკლებ 6 სმ დიამეტრის მქონე თითოეული ღეროს სიმაღლისა და დიამეტრის გაზომვა, მდგომარეობის ვიზუალური შეფასება.

მცენარეთა რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღწერა

აღრიცხვა-შეფასების შედეგები თავმოყრილია შემდეგ გვერდებზე მოცემულ ცხრილებში, კერძოდ:

დოკუმენტს თან ახლავს ტოპო-გეგმა, რომელზეც დატანილია თითოეული აღწერილი მერქნიანი მცენარე.

ცხრილი 1. მცენარეთა აღრიცხვა-შეფასების სრული უწყისი.

მისამართი:	დაბა ბაკურიანი, კობა წაქაძის ქუჩა №26
საკადასტრო კოდები:	64.30.08.087 და 64.30.01.575
ფართობი:	88 801 მ^2
შეფასების პერიოდი (თარიღი):	02.10.2020-04.10.2020
აღრიცხვის მეთოდი:	ძირობრივი

ხის №	მცენარის სახეობა	დიამეტრი (სმ)	სიმაღლე (მ)	შენიშვნა/შეფასება
1	მურყანი (*Alnus glutinosa*)	26	5	1 ძირი
2	მურყანი (*Alnus glutinosa*)	10; 11; 14; 19	5.5	4 ძირი
3	მურყანი (*Alnus glutinosa*)	6; 6; 27	5.5	3 ძირი
4	მურყანი (*Alnus glutinosa*)	12.5	3.5	ზეხმელი
5	მურყანი (*Alnus glutinosa*	12.5	3.5	ზეხმელი
6	მდგნალი (*Salix caprea*)	6.4	2.3	1 ძირი
7	მურყანი (*Alnus glutinosa*)	9; 10	4	ორკაპა/ზეხმელი
8	მურყანი (*Alnus glutinosa*)	45	9	1 ძირი/ხმობადი
9	მდგნალი (*Salix caprea*)	7.5; 7.5; 14	4.5	3 ძირი ამონაყრითი
10	მდგნალი (*Salix caprea*)	13	5	1 ძირი
11	მდგნალი (*Salix caprea*)	22	8.5	1 ძირი
12	ტირიფი (*Salix triandra*)	21	4	1 ძირი
13	ტირიფი (*Salix triandra*)	24	9	1 ძირი
14	ტირიფი (*Salix triandra*)	21	4	1 ძირი
15	ტირიფი (*Salix triandra*)	16	10	1 ძირი
16	ტირიფი (*Salix triandra*)	20.4	10	1 ძირი
17	ტირიფი (*Salix triandra*)	15.5; 20.5	9	2 ძირი
18	ტირიფი (*Salix triandra*)	15.5; 19	8	2 ძირი
19	მურყანი (*Alnus glutinosa*)	7.5	5	1 ძირი
20	მურყანი (*Alnus glutinosa*)	11	4.5	1 ძირი
21	მურყანი (*Alnus glutinosa*)	6.7	5.5	1 ძირი
22	ტირიფი (*Salix triandra*)	19	5.5	1 ძირი
23	ტირიფი (*Salix triandra*)	12.5; 16	9	2 ძირი
24	მურყანი (*Alnus glutinosa*)	21; 6.5; 23.5	7	3 ძირი
25	ტირიფი (*Salix triandra*)	17; 9.5; 16	10	3 ძირი/1 ხმობადი/1 ზეხმელი
26	ტირიფი (*Salix triandra*)	15.5	13	1 ძირი/ხმობადი
27	ტირიფი (*Salix triandra*)	22	12	1 ძირი/ხმობადი
28	ტირიფი (*Salix triandra*)	23	8	1 ძირი/ზეხმელი
29	მურყანი (*Alnus glutinosa*)	8; 6; 6.5	4.5-6.5	3 ძირი/D8 ზეხმელი
30	მურყანი (*Alnus glutinosa*)	9	5.5	1 ძირი
31	მურყანი (*Alnus glutinosa*)	22	8	1 ძირი/ხმობადი
32	მურყანი (*Alnus glutinosa*)	8.5; 7	6; 6.5	2 ძირი/D8 ხმობადი
33	მურყანი (*Alnus glutinosa*)	22	8.5	1 ძირი/სამკაპა
34	მურყანი (*Alnus glutinosa*)	11	6	1 ძირი
35	მურყანი (*Alnus glutinosa*)	16	10	1 ძირი
36	მურყანი (*Alnus glutinosa*)	13	8.5	1 ძირი
37	მურყანი (*Alnus glutinosa*)	7.3	6	1 ძირი
38	მურყანი (*Alnus glutinosa*)	6.5; 9; 16	4;7.5;10.5	3 ძირი
39	მურყანი (*Alnus glutinosa*)	6	5	1 ძირი
40	მურყანი (*Alnus glutinosa*)	9	6	1 ძირი
41	მურყანი (*Alnus glutinosa*)	6; 8; 8	4	3 ძირი/1 ზეხმელი
42	მურყანი (*Alnus glutinosa*)	6; 8	6	2 ძირი

43	მურყანი (*Alnus glutinosa*)	6	3.5	1 ძირი
44	მურყანი (*Alnus glutinosa*)	7	4	1 ძირი
45	მურყანი (*Alnus glutinosa*)	7	4	1 ძირი/ზეხმელი
46	მურყანი (*Alnus glutinosa*)	31	6	1 ძირი/ორკაპა/ზეხმელი
47	ტირიფი (*Salix triandra*)	18.5	4	1 ძირი/ხმობადი
48	მდგნალი (*Salix caprea*)	15; 16; 20; 34	7	3 ძირი/1ორკაპა/D34 ხმობადი
49	მურყანი (*Alnus glutinosa*)	11.5	7	1 ძირი
50	ტირიფი (*Salix triandra*)	17; 21;	8.5	2 ძირი
51	მურყანი (*Alnus glutinosa*)	20	9.5	1 ძირი/ზეხმელი
52	ტირიფი (*Salix triandra*)	13	4	1 ძირი/წაქცეული
53	ტირიფი (*Salix triandra*)	17.4	4	1 ძირი/წაქცეული
54	მურყანი (*Alnus glutinosa*)	11; 21; 30	6; 6; 13	3 ძირი/D21 ზეხმელი
55	მდგნალი (*Salix caprea*)	14; 38	4; 12	2 ძირი/D14 ზეხმელი
56	მურყანი (*Alnus glutinosa*)	33	15	1 ძირი/ორკაპა
57	მურყანი (*Alnus glutinosa*)	20.5	11	1 ძირი/ზეხმელი
58	მურყანი (*Alnus glutinosa*)	26	15	1 ძირი
59	მურყანი (*Alnus glutinosa*)	24.5	11	1 ძირი
60	მურყანი (*Alnus glutinosa*)	11.5	4	1 ძირი
61	მურყანი (*Alnus glutinosa*)	38	15	1 ძირი
62	მურყანი (*Alnus glutinosa*)	11; 15; 34	4; 6; 13	3 ძირი/D34 ზეხმელი
63	მურყანი (*Alnus glutinosa*)	35	14	1 ძირი
64	მურყანი (*Alnus glutinosa*)	8; 15; 26.5; 32	4.5-12	4 ძირი
65	მდგნალი (*Salix caprea*)	30	7	1 ძირი/დაზიანებული
66	მურყანი (*Alnus glutinosa*)	15; 28; 31; 34	7-13	4 ძირი/D28, D31 ზეხმელი
67	მურყანი (*Alnus glutinosa*)	11	4	1 ძირი
68	მდგნალი (*Salix caprea*)	23; 31	13	2 ძირი
69	მურყანი (*Alnus glutinosa*)	7.5; 14	8	2 ძირი/ზეხმელი
70	მდგნალი (*Salix caprea*)	26	9	1 ძირი/ხმობადი
71	მდგნალი (*Salix caprea*)	25.5	10.5	1 ძირი
72	მურყანი (*Alnus glutinosa*)	37	12	1 ძირი/ორკაპა
73	მურყანი (*Alnus glutinosa*)	9.5; 17	11	2 ძირი
74	მურყანი (*Alnus glutinosa*)	21	9	1 ძირი
75	მურყანი (*Alnus glutinosa*)	16; 20; 22	9-12	3 ძირი
76	მდგნალი (*Salix caprea*)	9	3.5	1 ძირი
77	მურყანი (*Alnus glutinosa*)	8	4	1 ძირი
78	მურყანი (*Alnus glutinosa*)	24.5; 37; 48	14	3 ძირი
79	მდგნალი (*Salix caprea*)	25	8.5	1 ძირი/ხმობადი
80	მდგნალი (*Salix caprea*)	19	6	1 ძირი/ხმობადი
81	მდგნალი (*Salix caprea*)	18; 19	8	2 ძირი/ხმობადი
82	მდგნალი (*Salix caprea*)	14	6	1 ძირი
83	მურყანი (*alnus glutinosa*)	14; 17; 33	10-13	3 ძირი
84	მურყანი (*alnus glutinosa*)	8; 25; 29; 30; 30	15	5 ძირი/D25 ზეხმელი
85	მდგნალი (*Salix caprea*)	15	4	1 ძირი/ხმობადი
86	მურყანი (*Alnus glutinosa*)	10; 13; 27	6-15	3 ძირი
87	მურყანი (*Alnus glutinosa*)	28	15	1 ძირი
88	მურყანი (*Alnus glutinosa*)	10.5	6	1 ძირი
